საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-371

23/05/2022

ქ. თბილისი

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სასროლეთი „კოხის“ ტერიტორიაზე შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 აპრილის №2-278 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 17 მაისის N21/1731 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სასროლეთი „კოხის“ ტერიტორიაზე შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 აპრილის №2-278 ბრძანება.

2. ბრძანება გაეგზავნოს: სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“.

3. სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ეს ბრძანება 5 დღის ვადაში განათავსოს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე

4. ბრძანება ძალაშია შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი